განკარგულება:**g-31. 3125303001**
თარიღი:**30/10/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №42

2025 წლის 30 ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებით დამტკიცებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 49-ე მუხლის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2025 წლის 30 ოქტომბრის N1 სხდომის ოქმის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

მუხლი 1. ახალარჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის საკითხების უზრუნველყოფისა და საკრებულოს ფრაქციათა შექმნის შესახებ წინადადებების (დასკვნების) განხილვისა და მომზადების მიზნით, არჩეულ იქნას სამანდატო დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.ლოლიტა ურუშაძე

2.ნინო მშვიდობაძე

3.მაია ლომთაძე

მუხლი 2. სამანდატო დროებითი კომისია უფლებამოსილია მუდმივმოქმედი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის არჩევამდე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს სხდომის უხუცესი წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი